

შპს ქართული ფილმი-უძრავი ქონება
2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

**შპს ქართული ფილმი - უძრავი ქონება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (1 ლარი)
2021 წლის 31 დეკემბერი**

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
მოკლევადიანი აქტივები:		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	219,654	260,373
სავაჭრო მოთხოვნები	422,135	224,405
მარაგები	2,073	9,099
საგადასახადო აქტივები	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	6,972	9,968
მოკლევადიანი აქტივები სულ:	650,834	503,845
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	10,807,836	10,913,133
არამატერიალური აქტივები	-	-
საინვესტიციო ქონება	35,287,133	35,403,365
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6,739	6,739
გრძელვადიანი აქტივები სულ:	46,101,707	46,323,237
აქტივები სულ:	46,752,542	46,827,083
მოკლევადიანი ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	57,896	36,678
საგადასახადო ვალდებულებები	55,740	209,033
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	14,010	29,726
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	127,646	275,437
გრძელვადიანი ვალდებულებები:		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	490,930	622,730
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	490,930	622,730
კაპიტალი და რეზერვები:		
საწესდებო კაპიტალი	5,048,853	5,048,853
გადაფასების რეზერვი	-	-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	41,085,114	40,880,063
კაპიტალი სულ:	46,133,966	45,928,916
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	46,752,542	46,827,083

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2022 წლის 28 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი მ. ჯავახიშვილი

მთ. ბუღალტერი ი. ჭალიძე

7-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს ქართული ფილმი - უძრავი ქონება
სრული შემოსავლების ანგარიშგება (1 ლარი)
2021 წლის 31 დეკემბერი**

	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1,553,456	1,107,514
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	-	-
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1,553,456	1,107,514
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(545,217)	(502,064)
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შემოსავალი/(ხარჯი)	93,438	(94,128)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(874,406)	(667,110)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	227,272	(155,789)
ფინანსური შემოსავალი	577	564
მოგება/(ზარალი) საკუთრო სხვაობებიდან	-	(3)
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(13,919)	(25,862)
შემოსავალი დივიდენდებიდან	-	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	213,929	(181,091)
მოგების გადასახადი	(8,879)	(5,305)
წლის წმინდა მოგება	205,050	(186,396)
წლის სრული შემოსავალი	205,050	(186,396)

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2022 წლის 28 სექტემბერს დამტკიცებულია
გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მ. ჯავახიშვილი

მთ. ბუღალტერი

ი. ჭალიძე

7-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

**შპს ქართული ფილმი - უძრავი ქონება
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (1 ლარი)
2021 წლის 31 დეკემბერი**

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019-თვის	5,048,853	-	41,066,459	46,115,311
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	-	(186,396)	(186,396)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	5,048,853	-	40,880,063	45,928,916
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში	-	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	-	-	-
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2020-თვის	5,048,853	-	40,880,063	45,928,916
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	-	205,050	205,050
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	5,048,853	-	41,085,114	46,133,966
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში	-	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	-	-	-
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2021-თვის	5,048,853	-	41,085,114	46,133,966

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2022 წლის 28 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მ. ჯავახიშვილი

მთ. ბუღალტერი

ი. ჭალიძე

7-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ქართული ფილმი - უძრავი ქონება
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (1 ლარი)
2021 წლის 31 დეკემბერი

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მყიდველებისგან/მომსახურების მიმღებებისგან	1,713,295	1,288,498
მიღებული დაფინანსება	-	-
გადახდილი თანხები მომწოდებელზე/მომსახურების გამწვეზე	(659,958)	(419,899)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(192,943)	(196,656)
თანამშრომლისგან მიღებული ფულადი სახსრები	1	99
გადახდილი გადასახადები	(527,022)	(368,810)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	-	(1,519)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	333,373	301,714
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(242,869)	(28,798)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	-	-
მიღებული პროცენტები	577	564
მოკლევადიანი სესხის გაცემა	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(242,292)	(28,235)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	-	-
მიღებული მოკლევადიანი სესხები	-	-
მიღებული მოკლევადიანი დაფარვა	-	-
გადახდილი პროცენტები	-	-
გადახდილი დივიდენდები	(131,800)	(78,750)
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(131,800)	(78,750)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/(კლება)	-	(3)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ნაზრდი:	(40,719)	194,727
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	260,373	65,646
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს:	219,654	260,373

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2022 წლის 28 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მ. ჯავახიშვილი

მთ. ბუღალტერი

ო. ჭალიძე

7-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს ქართული ფილმი - უძრავი ქონება
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი**

1. შესავალი

კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ქართული ფილმი - უძრავი ქონების“ (ს/კ 201945262) 100%-იანი დამფუძნებელია სს „ქართული ფილმი“ (ს/კ 202054196), რომლის 100%-იანი აქციონერი არის სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“ (ს/კ 400051199) და მის 100%-იან აქციონერს წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტრო (ქონების მართვის სააგენტო). შპს „ქართული ფილმი - უძრავი ქონება“ რეგისტრირებულია 1995 წლის 19 ივლისს დიდუბის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის N2/4-38. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 201945262. იურიდიული მისამართია - ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ახმეტელის ქ., N10ა.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა, კომპანიის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების მართვა, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, განვითარება და არსებულ ინფრასტრუქტურაში შემავალი შენობა-ნაგებობების ფუნქციონალური დატვირთვა.

კომპანიის მმართველობას ახორციელებს პარტნიორთა კრება და დირექტორი.

კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს არის მეტად გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი/ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	3.5040	4.0233

2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სალიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ბასს").

განგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა უმრავი ქონებისა, რომელიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელზე თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

კომპანიის სამომავლო ფუნქციონირების საკითხი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირების განგრძობითობის კონცეფციის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტების არსებული მაკროეკონომიკური გარემო, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

კომპანიას გააჩნია საბაზრო ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონება, რომელთან მიმართებაშიც მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს და მისი მოლოდინია, რომ საინვესტიციო ქონებიდან ფულადი ნაკადების გენერირებას შეძლებს, შესაბამისად სამომავლო პროგნოზები მენეჯმენტის გეგმის გათვალისწინებით არის პოზიტიური.

კომპანიის მენეჯმენტის მოსაზრებით, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

უცხოური სავალუტო ოპერაციები. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ის სადაც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური და საპროცენტო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულით კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთებისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომელთათვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოძინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მდგომარეობას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით,

იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშებში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასიცოცხლო პერიოდი	
შენობები	35 წელი
ნაგებობები	5 წელი
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5 წელი

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ საბაზრო ღირებულებას გადაფასების თარიღში. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა სამართლიანი ღირებულების ცვლილებით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში როდესაც მოხდა ცვლილება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფართების იჯარით გაქირავება. ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მოგების გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლის შენატანს, რომელიც შევსებულია ქონებრივი შენატანით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3. მნიშვნელოვანი საღირსებო შეფასებები და მსჯელობა

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსასაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საინვესტიციო ქონების ღირებულება კომპანიამ მოახდინა საინვესტიციო ქონების შეფასება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი ექსპერტი ქონების შესაფასებლად. მიწის ნაკვეთების საბაზრო ფასის დასადგენად გამოყენებულ იქნა ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) ქონების, მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგებების საფუძველზე. შენობებისა და სხვა უძრავი ქონების ფასის დასადგენად გამოყენებულ იქნა საბაზრო ბიდგომა (Market Approach) და დანახარჯების მიდგომა (Cost Approach).

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16).

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).
- ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).
-

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე, ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალ ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	526	557
ნაღდი ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	219,127	259,816
	219,654	260,373

6. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)
ადგილობრივი დამკვეთები	632,852	528,559
არარეზიდენტი დამკვეთები	-	-
მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების გაუფასურება	(210,716)	(304,154)
	422,135	224,405

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და უპროცენტო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს კომპანიას საკრედიტო რისკის ქვეშ, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან. ყოველი წლის ბოლოს კომპანია აფასებს დებიტორების გადახდისუნარიანობას და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს რეზერვებს. ყველა მოთხოვნა არის დენომინირებული ლარში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შემცირდა 93 438 ლარით.

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	საოფისე აღჭურვილობა (GEL)	ავიჯი და სხვა ინვენტარი (GEL)	სპეც ინსტრუმენტები (GEL)	სხვა (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,233,157	318,775	50,671	-	21,061	11,623,665
დამატება (შემცირება)	16,875	8,350	-	-	2,706	27,931
გადაფასება	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,250,033	327,125	50,671	-	23,767	11,651,595
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება						
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	386,093	263,876	43,937	-	16,625	710,531
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	109,742	18,937	2,216	-	2,334	133,229
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	495,835	282,813	46,152	-	18,960	843,759
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,754,198	44,312	4,519	-	4,807	10,807,836

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	საოფისე აღჭურვილობა (GEL)	ავიჯი და სხვა ინვენტარი (GEL)	სპეც ინსტრუმენტები (GEL)	სხვა (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,157,648	288,145	50,322	-	20,059	11,516,174
დამატება (შემცირება)	75,509	30,630	349	-	1,002	107,491
გადაფასება	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,233,157	318,775	50,671	-	21,061	11,623,665
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება						
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	279,561	245,037	41,255	-	14,101	579,954
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	106,532	18,839	2,682	-	2,524	130,577
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	386,093	263,876	43,937	-	16,625	710,531
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,847,064	54,899	6,735	-	4,436	10,913,134

8. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36,534,562	36,534,562
დამატება	214,938	214,938
(შემცირება)	-	-
გადაფასება	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36,749,500	36,749,500
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,131,197	1,131,197
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	331,170	331,170
ჩამოწერა	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,462,367	1,462,367
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35,287,133	35,287,133

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36,606,078	36,606,078
დამატება	-	-
(შემცირება)	(71,516)	(71,516)
გადაფასება	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36,534,562	36,534,562
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	833,625	833,625
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	297,572	297,572
ჩამოწერა	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,131,197	1,131,197
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35,403,365	35,403,365

9. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)
რეზიდენტი კომპანიები	57,896	36,678
რეზიდენტი ფიზიკური პირები	0	-
არარეზიდენტი კომპანიები	-	-
	57,896	36,678

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახედვა. ყველა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებულია ლარში.

10. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები	(6,659)	(3,517)
ავანსის დღე	(1,818)	-
გამოცხადებულ დივიდენდებზე დარიცხული გადაუხდელო მოგების გადასახადი	-	-
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	64,217	212,550
	55,740	209,033

კომპანიის მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს შემოსავლების სამსახურს, რომლის საფუძველია: შეტყობინება N00217880, 05.11.2019. გირავნობით უზრუნველყოფილია შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული შეთანხმება კომპანიის ქონების გადასახადის გრაფიკით გადავადების თაობაზე.

11. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)
გრძელვადიანი დივიდენდი	446,656	578,456
გრძელვადიანი დივიდენდის მოგების გადასახადი	44,274	44,274
	490,930	622,730

12. საწესდებო კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ქართული ფილმი - უძრავი ქონების“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 5 048 853 ლარს. (2020: 5 048 853 ლარი).

13. ამონაგები

	2021 წელი (ლარი)	2020 წელი (ლარი)
ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან	1,553,456	1,107,514
ამონაგები ფილმის ჩვენების უფლებიდან	-	-
სხვა ამონაგები	-	-
	1,553,456	1,107,514

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წელი (ლარი)	2020 წელი (ლარი)
თანამშრომელთა ანაზღაურება	276,904	271,969
საკანცელარიო ხარჯი	710	1,071
კომუნიკაციის ხარჯები	19,791	21,024
კომუნალური ხარჯები	15,003	8,744
საწვავის ხარჯები	-	-
საიჯარო ხარჯები	-	-
საკონსულტაციო ხარჯი	16,966	8,307
საგადასახადო ხარჯები	136,755	139,823
საბანკო ხარჯები	42	49
მივლინების ხარჯები	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,658	1,785
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	57,050	33,949
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20,337	15,342
	545,217	502,064

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021 წელი (ლარი)	2020 წელი (ლარი)
საოპერაციო იჯარა	-	-
კომუნალური ხარჯები	410,006	238,962
ცვეთის ხარჯები	464,399	428,148
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-
	874,406	667,110

16. სხვა არასაოპერაციო მოგება-ზარალი

	2021 წელი (ლარი)	2020 წელი (ლარი)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მოგება	-	-
მიღებული დაფინანსება	-	-
მოხსნილი მკველ პერიოდში ხარჯად აღიარებული ჯარიმ	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6,820	(4,598)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან ზარალი	-	-
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(20,725)	(21,264)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(14)	-
	(13,919)	(25,862)

17. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL
გადახდილი დივიდენდები	578,456	131,800	446,656
სულ:	578,456	131,800	446,656

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	ვალდებულება 31.12.2020-მდე
	GEL	GEL	GEL
გადახდილი დივიდენდები	657,206	78,750	578,456
სულ:	657,206	78,750	578,456

18. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

19. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

სასამართლო დავები

შპს „ქართული ფილმი უძრავი ქონება“-ს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა ერთი აქტიური სასამართლო დავა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომლის მოსარჩლე მხარეს წარმოადგენდა შპს „კაბლისი“ და ერთი შრომითი დავა მოქალაქე ნათელა წითლანაძესთან უკანონოდ გათავისუფლების გამო კომპენსაციის მოთხოვნის, იძულებით განაცხადურის ანაზღაურების და ხელშეკრულების შეჩერების შესახებ შეთანხმების ბათილად ცნობის თაობაზე.

20. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა იმის შედეგად, რომ კომპანია ყიდის პროდუქტებს საკრედიტო პირობებით და სხვა ტრანზაქციებისგან, სადაც კონტრაგენტები წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცოცავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. 2021 წლის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სესხები, შესაბამისად არ არსებობს საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის დაზღვევას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ლიკვიდურობის მაჩვენებელი, 2021 წლის 31 დეკემბრისა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოცემულია ქვედა ცხრილში საგადასახადო ვალდებულების გათვალისწინებით:

წელი	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	სხვაობა
2020	503,845	275,437	228,408
2021	650,834	127,646	523,189

21. დაკავშირებული მხარეები

მენეჯმენტის ანაზღაურებამ 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 18,000 ლარი, 2020 წელს - 18,000 ლარი.

კომპანიის აქციონერების მიმართ 2021 წელს გაცემული დივიდენდი შეადგენს 131,800 ლარს, ხოლო 2020 წელს - 78,750 ლარს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი დივიდენდი შეადგენს 446,656 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 578,456 ლარს.

კომპანიის დებიტორული დავალიანება დაკავშირებულ მხარესთან (დამფუძნებელი კომპანია სს „ქართული ფილმი“) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 107,121 ლარს (2020: 107,121 ლარი).

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 28 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს ქართული ფილმი - უძრავი ქონება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (1 ლარი)
2021 წლის 31 დეკემბერი

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
მოკლევადიანი აქტივები:		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	219,654	260,373
სავაჭრო მოთხოვნები	422,135	224,405
მარაგები	2,073	9,099
საგადასახადო აქტივები	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	6,972	9,968
მოკლევადიანი აქტივები სულ:	650,834	503,845
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	10,807,836	10,913,133
არამატერიალური აქტივები	-	-
საინვესტიციო ქონება	35,287,133	35,403,365
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6,739	6,739
გრძელვადიანი აქტივები სულ:	46,101,707	46,323,237
აქტივები სულ:	46,752,542	46,827,083
მოკლევადიანი ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	57,896	36,678
საგადასახადო ვალდებულებები	55,740	209,033
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	14,010	29,726
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	127,646	275,437
გრძელვადიანი ვალდებულებები:		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	490,930	622,730
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	490,930	622,730
კაპიტალი და რეზერვები:		
საწესდებო კაპიტალი	5,048,853	5,048,853
გადაფასების რეზერვი	-	-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	41,085,114	40,880,063
კაპიტალი სულ:	46,133,966	45,928,916
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	46,752,542	46,827,083

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2022 წლის 28 სექტემბერს დამტკიცებულია
გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

მ. ჯავახიშვილი

მ. ჯაფარიძე

7-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.


შპს ქართული ფილმი - უძრავი ქონება
სრული შემოსავლების ანგარიშგება (1 ლარი)
2021 წლის 31 დეკემბერი

	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1,553,456	1,107,514
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	-	-
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1,553,456	1,107,514
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(545,217)	(502,064)
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შემოსავალი/(ხარჯი)	93,438	(94,128)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(874,406)	(667,110)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	227,272	(155,789)
ფინანსური შემოსავალი	577	564
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	-	(3)
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(13,919)	(25,862)
შემოსავალი დივიდენდებიდან	-	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	213,929	(181,091)
მოგების გადასახადი	(8,879)	(5,305)
წლის წმინდა მოგება	205,050	(186,396)
წლის სრული შემოსავალი	205,050	(186,396)

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2022 წლის 28 სექტემბერს დამტკიცებულია
გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი




მ. ჯავახიშვილი

ი. კალიძე

7-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

შპს ქართული ფილმი - უძრავი ქონება
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (1 ლარი)
2021 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019-თვის	5,048,853	-	41,066,459 (186,396)	46,115,311 (186,396)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	5,048,853	-	40,880,063	45,928,916
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში	-	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	-	-	-
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2020-თვის	5,048,853	-	40,880,063	45,928,916
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	-	205,050	205,050
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	5,048,853	-	41,085,114	46,133,966
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში	-	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	-	-	-
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2021-თვის	5,048,853	-	41,085,114	46,133,966

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2022 წლის 28 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

მ. ჯავახიშვილი
მ. ჭალიძე

7-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ქართული ფილმი - უძრავი ქონება
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (1 ლარი)
2021 წლის 31 დეკემბერი

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მყიდველებისგან/მომსახურების მიმღებებისგან	1,713,295	1,288,498
მიღებული დაფინანსება	-	-
გადახდილი თანხები მომწოდებელზე/მომსახურების გამწევზე	(659,958)	(419,899)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(192,943)	(196,656)
თანამშრომლისგან მიღებული ფულადი სახსრები	1	99
გადახდილი გადასახადები	(527,022)	(368,810)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	-	(1,519)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	333,373	301,714
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(242,869)	(28,798)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	-	-
მიღებული პროცენტები	577	564
მოკლევადიანი სესხის გაცემა	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(242,292)	(28,235)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	-	-
მიღებული მოკლევადიანი სესხები	-	-
მიღებული მოკლევადიანი დაფარვა	-	-
გადახდილი პროცენტები	-	-
გადახდილი დივიდენდები	(131,800)	(78,750)
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(131,800)	(78,750)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/(კლება)	-	(3)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ნაზრდი:	(40,719)	194,727
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	260,373	65,646
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს:	219,654	260,373

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2022 წლის 28 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



7-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.